წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ბიუროს სხდომის

ო ქ მ ი N 31

ქ. წალკა; 22.11.2023 წ.

სხდომას თავმჯდომარეობდა: წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ირაკლი გიგინეიშვილი

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე გოჩა ხაჩატურიან, წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ავთანდილ ვანაძე, წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე რადიკ სარკისიან, სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ანტარამ მელტონიან, საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ზვიად გელაძე, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე ლევონ მარკოსიან, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე მელიტონ პაკელიანი, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე ნუგზარ ჩამურლიევი, ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო"-ს თავმჯდომარე ჯემალ ბერიძე. (რეგისტრაციის სია თან ერთვის);

სხდომა დაიწყო: 11:00 საათზე;
სხდომა დასრულდა: 11:20 საათზე;

დღის წესრიგი:

1. წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულო კომისიების და ფრაქციების დასკვნები დადგენილების პროექტზე „წალკის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ";

2. წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულო კომისიების და ფრაქციების დასკვნები განკარგულების პროექტზე „წალკის მუნიციპალიტეტის 2024 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ".

3. დადგენილების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის პირველკლასელთა კვებით უზრუნველყოფის პროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ"

სხდომამ განიხილა:

1. სხდომის თავმჯდომარემ ირაკლი გიგინეიშვილმა ბიუროს წევრებს მოახსენა, რომ წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების და ფრაქციებს დავალებული ჰქონდათ სხდომებზე განეხილათ და წარმოედგინათ თავიანთი წინადადებები, შენიშვნები და შეფასებები დადგენილების პროექტზე „წალკის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ". საკრებულოს კომისიების მიერ წარმოდგენილი იქნა დასკვნები დადგენილების პროექტის მოწონების შესახებ, ხოლო ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-ს მიერ დასკვნა შენიშვნების არსებობის შესახებ. ბიურომ ღია კენჭისყრით (10 მომხრე, 0 წინააღმდეგი) გადაწყვიტა: "წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N6 დადგენილებით დამტკიცებული წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 86-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად დადგენილების პროექტი წარმოდგენილი შენიშვნებით დაუბრუნდეს ინიციატორს.

2. სხდომის თავმჯდომარემ ირაკლი გიგინეიშვილმა ბიუროს წევრებს მოახსენა, რომ წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებს და ფრაქციებს დავალებული ჰქონდათ სხდომებზე განეხილათ და წარმოედგინათ თავიანთი წინადადებები, შენიშვნები და შეფასებები განკარგულების პროექტზე „წალკის მუნიციპალიტეტის 2024 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ". კომისიების და ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-ს მიერ წარმოდგენილი იქნა დასკვნები განკარგულების პროექტის მოწონების შესახებ, რის შემდეგაც კომისიების თავმჯდომარეებმა: ზვიად გელაძემ, ანტარამ მელტონიანმა, მელიტონ პაკელიანმა, ლევონ მარკოსიანმა, ნუგზარ ჩამურლიევმა და ფრაქციის თავმჯდომარემ ჯემალ ბერიძემ ბიუროს გააცნეს დასკვნები განკარგულების პროექტის მოწონების შესახებ. ბიურომ ცნობად მიიღო, რომ კომისიების და ფრაქციების მიერ აღნიშნულ განკარგულების პროექტზე წინადადებები, შენიშვნები და შეფასებები წარმოდგენილი არ ყოფილა.

3. სხდომის თავმჯდომარემ ირაკლი გიგინეიშვილმა ბიუროს წევრებს მოახსენა, რომ ბიუროზე განსახილველად წარმოდგენილია წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მალხაზ მგელაძის მიერ ინიცირებული დადგენილების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის პირველკლასელთა კვებით უზრუნველყოფის პროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" ბიურომ ღია კენჭისყრით (10 მომხრე, 0 წინააღმდეგი) გადაწყვიტა: "წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N6 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 82-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად საკრებულოში შემოტანილ ნორმატიული აქტის პროექტს თან უნდა ერთვოდეს განმარტებითი ბარათი, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში ინიცირებულ დადგენილების პროექტს არ ახლავს განმარტებითი ბარათი არ იქნეს დაწყებული ნორმატიული აქტის პროექტის განხილვის პროცედურები;

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე *ი.გიგინეიშვილი*